ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი **15.07.2019 წელი**
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო კვირკველია.

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე, კახა ასკურავა.
მოწვეული პირები: სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნატა კობალავა. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი დავით წერეთელი. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის უმცროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ნანა წილოსანი.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1.ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

2.ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

3. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი-ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა, სამსახურის უფროსმა დავით წერეთელმა. მან ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ ღონისძიებებზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე. აღნიშნა, რომ 2018 წლიდან დღეის მდგომარეობით ჩატარებული იქნა 58 კულტურული ღონისძიება. აქედან არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში, ბიბლიოთეკაში, კულტურის ცენტრში.

მან ისაუბრა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, კერძოდ :

- ლანჩხუთის შემოქმედთა მუზეუმის ეზოში მოეწყო გარე წყალსაწრეტი ღარი;
- კულტურის ცენტრში შეძენილი იქნა სცენის ფარდისა და განათების აპარატურა;
- ვალოდია წულაძის თეატრისა და კინოს მუზეუმის ეზოში მოეწყო სკვერი;
- ეგნატე ნინოშვილის მემორიალურ მუზეუმში განხორციელდა გურული ეთნოგრაფიული კომპლექსის აღდგენა-რესტავრაცია;
- ფოლკლორის კაბინეტის რეაბილიტაცია;
- თემურ ფირცხალაიშვილის შემოქმედთა მუზეუმში ეზოს რეაბილიტაცია;
- კულტურის ცენტრის შენობის გარე ფასადის რეაბილიტაცია;
- კულტურის ცენტრში ბავშვთა მუსიკის შემსწავლელი წრეების სარეპეტიციო ოთახების რეაბილიტაცია;
- ვალოდია წულაძის თეატრისა და კინოს მუზეუმში ადმინისტრაციის ოთახების რეაბილიტაცია;
- საოფისე ინვენტარის შეძენა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ეგნატე ნინოშვილის მუზეუმსა და კულტურის ცენტრში.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ისაუბრა სამომავლოდ განსახორციელებელ გეგმებზე, კერძოდ:

- დაგეგმილი არის ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეძენა (4 000 ლარი);
- თეატრში არსებული ბენდისთვის აპარატურის შეძენა (9 000 ლარი);
- სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის ცენტრისათვის დაგეგმილია ასევე 2000 ლარის ოდენობის ინვენტარით უზრუნველყოფა.

კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია დაინტერესდა თუ არის დაგეგმილი თეატრში ჭაღის და ვენტილაციის საკითხის მოწესრიგება, რაზეც დავით წერეთელმა განმარტა, რომ თეატრში შიდა მექანიზმის გამოსაცვლელად საჭიროა 79 000 ლარი და ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მათი გამოცვლა.

კომისიის წევრმა გოდერძი ქურიძემ აღნიშნა, რომ თეატრში გამართულ სპექტაკლებზე ძირითადად სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, რომელთა უმრავლესობამაც სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელა, შესაბამისად როგორ მოხერხდება მათი მობილიზება სპექტაკლების დროს. დავით წერეთელმა თქვა, რომ იგი ფიქრობს თეატრში მიზნობრივი ჯგუფის ჩამოყალიბებას.

კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია დაინტერესდა თუ იგეგმება კულტურის ცენტრში ე.წ. თეატრალური წრის ჩამოყალიბება ბავშვებისთვის, დავით წერეთელმა თქვა, რომ ამ დროისთვის რაიონში არ არის გამოცდილი პედაგოგი, რომელიც ბავშვებთან იმუშავებდა, რადგან ეს კონტიგენტი ძალიან ფაქიზი და მოსაფრთხილებელია.

საკრებულოს წევრი კახა ასკურავა დაინტერესდა, რამდენი თანამშრომელი იყო დასაქმებული და თუ არის ყველას დასაქმების საჭიროება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში, რაზეც დავით წერეთელმა უპასუხა, რომ დასაქმებული 89 ადამიანიდან ყველას საჭიროებას ხედავს, ვინაიდან თითოეული თანამშრომელი აქტიურად არის ჩართული და ყოველდღიურად უამრავი ფუნქციის შესრულება უწევს. კახა ასკურავა ასევე დაინტერესდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას კულტურისა და სპორტის სამინისტროდან თუ აქვს ფინანსური მხარდაჭერა, რაზეც დავით წერეთელმა უპასუხა, რომ მხარდაჭერა მხოლოდ პროექტებში თანამონაწილეობით შემოიფარგლებოდა.

კახა ასკურავა დაინტერესდა თეატრში გაზიფიცირების საკითხით და მართებულად მიაჩნია მომზადდეს პროექტი კულტურის სახლის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

ვერიკო კვირკველია და კახა ბოლქვაძე დაინტერესდა რამდენად მოწესრიგებულია თეატრში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასი, რაზეც დავით წერეთელმა უპასუხა, რომ იგი ცდილობს ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი შრომის ანაზღაურებით.

კომისიის წევრმა კახა ასკურავამ გამოხატა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ თუ აცანის, სუფსისა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებს გააჩნიათ კულტურის ცენტრი, რატომ არ არსებობს სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში, მაგალითად ნიგოითის თემში, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს და მოსახლეობაც საკმაოდ დიდია.

დავით წერეთელის განმარტებით იანვრიდან თეატრში მოწესრიგდება საპირფარეშო, შესასვლელი და დერეფანი, ასევე დასრულდება სცენის რეაბილიტაცია. მას მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ცალკე ა(ა)იპ-ის სახით ჩამოყალიბება. ასევე აღნიშნა, რომ თუკი მათი ბიუჯეტი გაიზრდება 200 000 ლარით და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან იქნება სათანადო მხარდაჭერა, 2021 წლისათვის ყველა პრობლემა იქნება აღმოფხვრილი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

2.დღის წესრიგის მეორე საკითხი-ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის მუშაობის შესახებ სამსახურის ანგარიში წარმოადგინა, სამსახურის უფროსმა ნატა კობალავამ. მან აღნიშნა, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი 2007 წლის 30 ივლისს შეიქმნა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას. სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. ცენტრი აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, მუნიციპალიტეტში შემავალ 16 ადმინისტრაციულ ერთეულში. მან ასევე აღნიშნა, რომ 2018 წელს გამოცხადდა და ხელშეკრულება დაიდო 16 ტენდერზე, ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლის მიზნით სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და ახალი ინვენტარის შესაძენად. მოხდა ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. ბაღებისთვის შეძენილი იქნა ავეჯი, სახანძრო, სამაშველო და უსაფრთხოების მოწყობილობები. საწვავი ხის მასალა, სამეურნეო საქონელი, ელექტროტექნიკა, საგანმანათლებლო რესურსები, სათამაშოები, საახალწლო საჩუქრები.

2019 წელს გამოცხადებული ტენდერით საბავშვო ბაღებისათვის შეიძენენ სამზარეულოს ჭურჭელს. ასევე, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა ღრმაღელის, წყალწმინდის, ლესის, ნინოშვილის, ნიგვზიანისა და ჩიბათის საბავშვო ბაღებში. რაც შეეხება 2019 წელს თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ბაღის შენობების მშენებლობა იწყება სუფსაში, ხაჯალიასა და აცანაში.

სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის მიზანია, რომ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო საგანმანათლებლო პროცესი მუდმივ განვითარებაზე იყოს ორიენტირებული, ამ მხრივ ინკლუზიური განათლების წარმატებულად განხორციელებისთვის მოწვეულ იქნა ,,ენისა და მეტყველების თერაპევტთა ასოციაცია“, რომლის მიერ გადამზადებული იქნა სკოლამდელი დაწესებულების ფსიქოლოგები, ლოგოპედი და აღმზრდელები. ასევე ,,აღმზრდელ-პედაგოგთა“ პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით სსიპ „მასწავლებელთა სახლის“ მიერ გადამზადებული იქნა სკოლამდელი ცენტრის ადმინისტრაციისა და ბაგა-ბაღის რამდენიმე მეთოდისტი. მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრის ჯგუფებში ყოველდღიურად ინერგება მუშაობის ახალი მეთოდები, უმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რაშიც გვაქვს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევისა და თანადგომის იმედი.

კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია და კახა ასკურავა დაინტერესდა რამდენად

აკმაყოფილებს ბაღები თანამედროვე სტანდარტებს, რაზეც ნატა კობალავამ უპასუხა, რომ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, საბავშვო ბაღები ნაწილობრივ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტებს, მაგრამ შესაძლებელია ლავირება, რათა სანქციები არ დაწესდეს.

კახა ასკურავას სწორად მიაჩნია, რომ ქ. ლანჩხუთში ყოფილი ,,ლიბერთი ბანკის" შენობაში გაიხსნას საბავშვო ბაღი, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად გაყოფს და სტრატეგიულად უფრო კარგი იქნება.

ვერიკო კვირკველიას და კახა ასკურავას აზრით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საბავშვო ბაღებში ვირუსიანი ბავშვების მიყვანა და საერთოდ ამ კუთხით უნდა გაძლიერდეს კონტროლი. ამასთანავე საბავშვო ბაღებში ყველა ექთანი უნდა იყოს მაღალკვალიფიციური.

ვერიკო კვირკველია და კახა ასკურავა ასევე შეეხო სათამაშოების საკითხს, მათი თქმით უმჯობესია შეიძინონ ერთი და ეკოლოგიურად სუფთა, ვიდრე ბევრი და უხარისხო სათამაშო.

ნატა კობალავას თქმით 2019 წლის ბოლოს ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ბაღები ცალკე ა(ა)იპ-ის სახით უნდა ჩამოყალიბდეს.

კახა ასკურავამ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებაში არის კვალიფიციური კადრების პრობლემა, ნატა კობალავამ განმარტა, რომ ამ კუთხით აქტიურად მუშაობს და უკეთეს შედგენს მიიღებს სამომავლოდ.

კომისიის წევრი კახა ბოლქვაძე დაინტერესდა რამდენი შშმ აღსაზრდელი არის საბავშვო ბაღში, ნატა კობალავას განმარტებით დღეის მდგომარეობით შშმ და ინკლუზიური აღსაზრდელი 200-მდე ბავშვია მთლიანად მუნიციპალიტეტში.

ვერიკო კვირკველია წამოწია დასაქმებული მშობლების პრობლემა, რაც დაკავშირებულია ე.წ. ბაღის არდადეგების სკოლის არდადეგებზე დამთხვევასთან, და დასძინა, რომ უკეთესია დეკემბერ-იანვარში არ მოიხსნას ბაღი, ხოლო ასევე შესაძლებელია საზაფხულო არდადეგებზე მშობლების თანადაფინანსებით ბაღებში თითო ჯგუფის ფუნქციონირება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის მუშაობის შესახებ ანგარიში.

3. სხვადასხვა საკითხები:

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: 3. 53ეს **ვერიკო კვირკველია**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა N8

ქ.ლანჩხუთი 15.07.2019 წელი

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრის მუშაობის შესახებ ანგარიში.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

15.07.2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	11.58	
2	კახა ბოლქვაძე	11:55	
3	გოდერძი ქურიძე	11:55	
4	კახაბერ ასკურავა	12.0	